

სექტემბრიდან აპრილამდე სკოლებიდან ამოღებულია 800-ზე მეტი აკრძალული ნივთი



2018 წლის 17 სექტემბრიდან 2019 წლის აპრილამდე საჯარო სკოლებიდან 853 აკრძალული ნივთი ამოიღეს, მათ შორის, ცეცხლსასროლი იარაღი, ნარკოტიკი და ედუქტროშოკი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით, 2019 წლის 1-ელი თებერვლიდან საქართველოს მასშტაბით, სკოლებში ჯამში 1435 უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება განხორციელდა. აქედან, თბილისში – 905, ქვემო ქართლში -152, სამეგრელო -ზემო სვანეთში – 95, იმერეთში – 86, შიდა ქართლში – 71, აჭარაში – 70, სამცხე-ჯავახეთში – 28, მცხეთა-მთიანეთში – 12, კახეთში – 10, გურიაში – 6.

2018 წლის 17 სექტემბრიდან 2019 წლის აპრილამდე საჯარო სკოლებში ჯამში 66 ათასამდე დარღვევა გამოვლინდა, მათ შორის, აკრძალული ნივთი 853 შემთხვევაში ამოიღეს.

„საანგარიშო პერიოდში სკოლიდან 1 ცეცხლსასროლი იარაღი, 56 დანა, 13 ბასრი საგანი, 3 ბრავი საგანი, 25 ბანქო, ან სხვა ამარტური საშუალება, 3 ასაფეთქებელი ან მომწამვრელი ნივთიერება, 26 კასტეტი ამოიღეს. ასევე დაფიქსირდა 4 ყურსასმენის გამოყენების ფაქტი, 294 -თამბაქო და სანთებერა(ასანთი), 73 საახადწილო

ასაფეთქებელი (პიტარდა), 80 ელექტროსიგარეტი, 1 ელექტროშოკი (ტარება), 33 ნარკოტიკის მოხმარებისთვის საჭირო ნივთები, 21 ადვოკატის შეტანა სკოლის ტერიტორიაზე, 20 სავარაუდო ნარკოტიკის შეტანა სკოლის ტერიტორიაზე“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

„ინტერპრესნიუსი“